

თავი 23

სამუშაო კაპიტალის მართვა

1. სამუშაო კაპიტალი არის:

- ა) მარაგი + დებიტორული დავალიანება + ფული + კრედიტორული დავალიანება;
- ბ) მარაგი + დებიტორული დავალიანება + ფული - კრედიტორული დავალიანება;
- გ) მარაგი + დებიტორული დავალიანება + კრედიტორული დავალიანება - ფული.

2. სამუშაო კაპიტალის მართვა არის:

- ა) მოკლევადიანი აქტივების მართვა;
- ბ) მოკლევადიანი ვალდებულებების მართვა;
- გ) როგორც მოკლევადიან აქტივების, ისე მოკლევადიანი ვალდებულებების მართვა.

3. სამუშაო კაპიტალში დაბანდების მართვა შესაძლებელია:

- ა) მიმდინარე აქტივების ან მმდინარე ვალდებულებების ინდივიდუალური დროის განსაზღვრის გზით;
- ბ) ჯამურ სამუშაო კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრის გზით;
- გ) მართებულია ორივე პასუხი.

4. სამუშაო კაპიტალში მთლიანი დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის კომპრომისი:

- ა) სარგებელი / დანახარჯთან;
- ბ) დანახარჯი / სარგებელთან;
- გ) მოგება / დანახარჯთან.

5. მნიშვნელოვანი სავაჭრო ზრდა იწვევს:

- ა) ნაღდი ფულის შეზღუდვას;
- ბ) ძირითად საშუალებებში დაბანდების შეზღუდვას;
- გ) სამუშაო კაპიტალში დაბანდების შეზღუდვას.

6. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს:

- ა) ორგანიზაციას გააჩნია არასაკმარისი სახსრები ვალდებულების დროულად დაფარვისათვის;
- ბ) ორგანიზაციას გააჩნია საკმარისი (და შეიძლება მეტიც) სახსრები და რესურსები, რათა დროულად და განსაზღვრულ დროში იქნას დაფარული ვალდებულებები;
- გ) ლიკვიდობის კოეფიციენტით განისაზღვრება ორგანიზაციის სამუშაო კაპიტალში დაბანდების დონე და არა ვალდებულებებთან და მისი დაფარვის ვალდებთან დაკავშირებული საკითხები.

7. ტრადიციული მიდგომა სამუშაო კაპიტალის დაფინანსებაზე გულისხმობს:

- ა) მიმდინარე აქტივები ფინანსდება მოკლევადიანი კრედიტით, გრძელვადიანი აქტივები კი გრძელვადიანი კრედიტით;
- ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები ფინანსდება გრძელვადიან კრედიტით;
- გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

8. რომელი გამოთქმაა მართებული:

- ა) სავაჭრო კრედიტი უფრო ძვირია, ვიდრე კაპიტალით დაფინანსება;
- ბ) სავაჭრო კრედიტი უფრო იაფია, ვიდრე კაპიტალით დაფინანსება;
- გ) მოკლევადიანი დაფინანსება უფრო ძვირია გრძელვადიანთან შედარებით.

9. მოკლევადიან დაფინანსებასთან დაკავშირებულ რისკებს წარმოადგენს:

- ა) განახლებული პრობლემა;
- ბ) საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობა;
- გ) ორივე მათგანი.

10. მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობა წარმოედგენს:

- ა) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტს;
- ბ) ფულადი სახსრების საოპერაციო ციკლს;
- გ) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტს.

11. შემდეგი გაანგარიშება: მარაგის შენახვის ვადა + დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი – კრედიტორისთვის გადახდის პერიოდი, გამოხატავს:

- ა) ფულადი სახსრების საოპერაციო ციკლს;
- ბ) მარაგის შენახვის პერიოდს;
- გ) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტს.

12. გაყიდვების თვითღირებულება შეფარდებული საშუალო მარაგთან, გამოხატავს:

- ა) მარაგის შენახვის პერიოდს;
- ბ) მარაგის ბრუნვადობას;
- გ) კრედიტორზე გადახდის პერიოდს.

13. დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი გამოითვლება შემდეგნაირად:

- ა) საბოლოო დებიტორული დავალიანება : წლიურ რეალიზაციაზე;
- ბ) საბოლოო დებიტორული დავალიანება : საშუალო დღიურ გაყიდვებზე;
- გ) საშუალო დღიური გაყიდვა : საბოლოო დებიტორული დავალიანებაზე.

14. შემდეგი გაანგარიშება – ზღვრული მოგება : (შეკვეთის ღირებულება x დაფინანსების ხანგრძლივობაზე), გამოხატავს:

- ა) სამუშაო კაპიტალის დონეს;
- ბ) კრედიტორებზე გადახდის პერიოდს;
- გ) შერჩევის კოეფიციენტს.

15. თუ ფირმის სამუშაო კაპიტალი აღემატება მასზე მოთხოვნებს, მაშინ საქმე გვაქვს:

- ა) ზეკაპიტალიზაციასთან;
- ბ) გადაჭარბებული სავაჭრო საქმიანობასთან;
- გ) ორივესთან.

ამოცანა №1

კომპანიის წლიური მოგება – ზარალის ანგარიშებიდან და წლის ბოლოსთვის საბალანსო ანგარიშებიდან ამონარიდი შემდეგი სახისაა:

	ლარი
ამონაგები	250000
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	210000
შესყიდვები	140000
დებიტორები	31250
კრედიტორები	21000
მარაგი	92500

შენიშვნა: დაუშვათ, რომ ყველა გაყიდვა და შესყიდვა ხორციელდება კრედიტში.

გავიანგარიშოთ: ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობა.

(გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მთელებამდე სიზუსტით)

ამოცანა №2

კომპანიის წლიური ამონაგები 8 მილიონ ლარს შეადგენს და თვითღირებულებას 60 %-ით აჭარბებს. ჩვეულებრივ, კრედიტორებზე გადახდა ხდება შესყიდვიდან ორი თვის შემდეგ. მარაგის შენახვა მოთხოვნამდე ერთი თვის განმავლობაში ხდება. დებიტორებს წარედგინება თვენახევრიანი კრედიტი, ხოლო კომპანიის ფულადი ნაშთი ამჟამად 1250000 ლარს შეადგენს.

გავიანგარიშოთ: მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები.